ხელშეკრულების დადება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით

თამარ სულამანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სულამანიძე ხელმოწერა:

31.01.2020

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ელექტრონული აუქციონის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების თავისებურებები და მისი სამართლებრივი რეგულაციები გერმანული და ქართული სამოქალაქო სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მოყვანილია შედარება კლასიკური გაგებით საჯარო აუქციონსა და ელექტრონულ აუქციონს შორის, რაც ბაზირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 156-ე პარაგრაფისა და ხელშეკრულების დადების ძირითადი პრინციპების ირგვლივ მსჯელობაზე. აგრეთვე, წარმოდგენილია საქართველოსა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ელექტრონული აუქციონის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების განმარტებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში განხილულია ის სირთულეები და გამოწვევები, რაც გერმანული საკანონმდებლო სისტემისათვის ელექტრონული აუქციონის დამკვიდრებამ 90-იანი წლების მიწურულიდან მოიტანა, ხოლო ქართული სამართლის სისტემა კი აღნიშნული გამოწვევების თვალსაზრისით შედარებით მოგვიანებით და ეტაპობრივად შეუერთდა. ნაშრომში საკმაოდ მწვავედ დგას ელექტრონული აუქციონის დროს ოფერტისა და ოფერტზე მოწვევის გამიჯვნის მომენტი, რასაც მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. ასევე, განხილულია ელექტრონული აუქციონის ნაადრევად შეწყვეტა და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გერმანული და ქართული სამართლის სისტემების შედარებით დადგენა, თუ რამდენად მზადაა იგი საკანონმდებლო რეგულაციებით, ფეხი აუწყოს 21-ე საუკუნის თანამედროვე გამოწვევებს ინტერნეტ სივრცეში. აგრეთვე, გააღვივოს ინტერესი დისკუსიისათვის და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული აუქციონი, ინტერნეტ აუქციონი, აუქციონი, მოწვევა ოფერტზე, ოფერტი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, აუქციონის შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება, აუქციონის შეწყვეტაზე

მონადირე, გერმანიის უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

Abstract

This Master Thesis evaluates the electronic basis of contract conclusion via internet auction platform eBay and considers its legal normative regulation by way of a legal comparison between German and Georgian civil law. Differences between the conclusion of contract in Georgian civil and the regulations of § 156 of German Civil Code (BGB) which, as German *lex-specialis*, deals with the conclusion of contract especially in auctions are compared. In this context, it is important first to determine where German civil law distinguishes between an *invitatio ad offerendum* and an *offerta* in a public sale auction and in an electronic auction. Furthermore, this thesis examines the legal consequences of withdrawal from an offer on an internet auction platform, such as eBay.

The thesis examines the differences between Georgian and German jurisdictions regarding electronic auctions since their emergence in Germany in the late 1990s and more than 10 years later in Georgian, to determine whether both legal systems can draw on the same interpretation and applicability of the existing legal basis, and whether Georgia might learn from the current German experience in this field? It is hoped that in identifying and analysing the legal challenges that arise from electronic auctions and how different legal systems deal with these difficulties will stimulate keen interest in Georgian legal science and demonstrate show practice-oriented, manageable options on how to deal with the complex legal issues of internet auctions.

Basic key search words: electronic auction, eBay, comparison, the Civil Code of Georgia, the Civil Code of Germany, the Supreme Court, decision, auctioneer, vendor, offer, purchaser, withdrawal, claim for damages.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებულ პროფესორს - ბატონ შალვა პაპუაშვილს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის კოორდინატორს - ბატონ ამირან მეშველიშვილსა და სამართლის კლინიკის კოორდინატორის თანაშემწეს - ბატონ გიორგი გლაზოვს. ნაშრომის იდეისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის საბაზისო სისტემასთან წვდომისათვის მსურს მადლობა მოვახსენო უნივერსიტეტს Westfälische Wilhelms Universität in Münster და ამავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორ დოქტორ თომას გუთმანს. ამ ადამიანების უშუალო ძალისხმევით, მათი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაშრომის იმგვარად განვითარება და ჩამოყალიბება, როგორი სახითაც მას წარმოგიდგენთ.